



შინაგანაწესი, დანართი № 01

ახალი რედაქცია დამტკიცებულია

რექტორის ბრძანება №01-01 03.01.2023

რექტორი

პ. ხვედელიძე



საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვისა და ბიუჯეტირების
რეგლამენტი

ნდ №2-010102/01

მუხლი 1. დოკუმენტის შესახებ


წინამდებარე დოკუმენტი (შემდგომში - რეგლამენტი) ადგენს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - ბნსუ) საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვისა და ბიუჯეტის მომზადების, განხილვის, დამტკიცების, ცვლილებების შეტანის და სხვ. წესებს. რეგლამენტის მიზანია ბნსუ-ში დაგეგმვის და ბიუჯეტირების სისტემის ფუნქციონირების უწყვეტობის უზრუნველყოფა, ცვლად გარემოში ბნსუ-ს საქმიანობის რეალიზება და ოპერატიული მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება.

მუხლი 2. ფინანსების მართვის (ბიუჯეტირების) მიზანი

ბნსუ-ს ეკონომიკური მდგომარეობის და განვითარების სტრატეგიის რეალიზების მიზნით ბნსუ-ში შემუშავებულია და მოქმედებს ფინანსების მართვის სისტემა (ბიუჯეტირება), რომელიც უზრუნველყოფს ბნსუ-ს ფუნქციონირების და სტრატეგიული განვითარების პროგრამების მიმართულებით ფინანსების განაწილებას. ბნსუ-ს საქმიანობის დაგეგმვისა და ბიუჯეტირების ძირითად ამოცანებს მიეკუთვნება: ბნსუ-ში საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის მოწესრიგება, ერთიანი მიდგომებისა და პრინციპების გამოყენება, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის გეგმების შესრულება, ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლების სახით ბნსუ-ს საქმიანობის შედეგების ფორმალიზება, დაგეგმილი ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიღწევა, დაგეგმილი სიდიდეებისაგან ფაქტობრივი მაჩვენებლების აცდენის ოპერატიული გამოვლენა, მიზეზების ანალიზი და ოპერატიული მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება, ბნსუ-ს ბიუჯეტის დაგეგმვის, კორექტირების, კონტროლისა და ანალიზის რეგლამენტის განსაზღვრა, ბიუჯეტის შესრულებაზე, კონტროლზე და ანალიზზე პასუხისმგებლობებისა და უფლებამოსილებების განაწილება. ბიუჯეტირების სისტემას (ფინანსების მართვის სისტემას) საფუძვლად უდევს ბნსუ-ს შემოსავლების განაწილება ბნსუ-ს ფუნქციონირებასა და ბნსუ-ს განვითარებაზე.

მუხლი 3. ბნსუ-ს ძირითადი ფინანსური დოკუმენტი - ბიუჯეტი

1. ბნსუ-ს ძირითადი ფინანსურ გეგმას წარმოადგენს კონსოლიდირებული ბიუჯეტი (შემდგომში - ბიუჯეტი) - ფინანსურ წელზე გათვლილი შემოსავლების და ხარჯების დაბალანსებული გეგმა, რომელიც ასახავს 2 შემადგენელ ნაწილს - შემოსავლებს და ხარჯებს. ბიუჯეტის ფორმირება მოიცავს მოსამზადებელ (ანალიტიკურ), ბიუჯეტის ფორმირებისა და ბიუჯეტის დამტკიცების ეტაპებს.



2. მოსამზადებელი ეტაპი გულისხმობს წინა პერიოდის შედეგების და დასაგეგმი პერიოდის პერსპექტივების ზოგად ანალიზს და წინასწარ დაგეგმვას (პროგნოზი), რაც მოიცავს გარე ფაქტორების, წინა ფინანსური წლების მაჩვენებლების საფუძველზე შესაძლო ტენდენციების, წინა ფინანსური წლის ბიუჯეტის შესრულების და დაგეგმილ ფინანსურ მაჩვენებლებთან ფაქტობრივი მაჩვენებლების ურთიერთშესაბამისობისა და ბნსუ-ს ანგარიშებზე თანხების მოძრაობის ამსახველი ბუღალტრული ანგარიშების ანალიზს. ასევე, ამ ეტაპზე ხდება წინა ფინანსურ წლებში დაგეგმილი და რეალური ხარჯებისა და შემოსავლების კომპონენტების მოცულობების შედარება, მნიშვნელოვანი და მცირე/უმნიშვნელო ხარჯებისა და შემოსავლების პერიოდების დადგენა. ასევე, ამ ეტაპზე ხდება ბნსუ-ს ფუნქციონირებისა და განვითარებისთვის აუცილებელი დაფინანსების შეფასება, წინა საანგარიშო პერიოდში აუთვისებელი დაფინანსების მიზეზების შესწავლა და მომდევნო ფინანსური წლისთვის იმავე აქტივობების დაფინანსების რეალური ოდენობების განსაზღვრა;

3. ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილის ფორმირება: ბნსუ-ს შემოსავლების წყაროებს მიეკუთვნება/შეიძლება მიეკუთვნოს: ბნსუ-ს საგანმანათლებლო საქმიანობა (უმალესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, მომზადება-გადამზადების კურსები, სხვ.), ბნსუ-ს დამფუძნებელ-პარტნიორთა პირადი ინვესტიციები, შეოქონილობები, სპონსორული დახმარება, გრანტები, საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა წყაროები, მათ შორის ფიზიკურ/იურიდიულ პირებთან დადებული კონტრაქტებით გათვალისწინებული საქმიანობის შესრულება, სხვა კომერციული საქმიანობით მიღებული შემოსავალი. ბნსუ-ს ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილი ასახავს ბნსუ-ს შემოსავლების (დაფინანსების) ყველა მოსალოდნელ წყაროს. უმალესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების რეალიზებით მისაღები შემოსავალი იგეგმება აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტთა და პროფესიულ სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობის, მისაღები კონტინგენტის (დაგეგმილი რაოდენობის) და საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლის საფასურის გათვალისწინებით. სხვა შემოსავლების მოცულობა იგეგმება წინა საანგარიშო პერიოდის მონაცემების ანალიზის საფუძველზე. ბიუჯეტში შემოსავლების დაგეგმვისას ბნსუ-ს საფინანსო სამსახური ხელმძღვანელობს რეალობის პრინციპით, რაც გულისხმობს ბიუჯეტში უსაფუძვლოდ გაზრდილი ან შემცირებული ოდენობების ასახვის დაუშვებლობას;

4. ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ფორმირება: ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი მოიცავს ბნსუ-ს მიმდინარე ფუნქციონირების უზრუნველყოფის და განვითარების მიმართულებების დაფინანსებას. ბნსუ-ს ხარჯები უნდა იყოს შემოსავლების რელევანტური, რადგან უარყოფითი ფინანსური შედეგი დაუშვებელია. ხარჯების დაგეგმვისას აუცილებელია ეკონომიურობის, აუცილებლობის და საკმარისობის პრინციპების დაცვა.

4.1. ბნსუ-ს ფუნქციონირების ხარჯები - ეს არის ბნსუ-ს ძირითადი (საგანმანათლებლო) და დამხმარე საქმიანობის უზრუნველყოფაზე, მათ შორის, ბნსუ-ს შენახვაზე მიმართული დაფინანსება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს არსებულ დონეზე ბნსუ-ში მიმდინარე ძირითადი პროცესების სტაბილურობის შენარჩუნება. ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში აისახება შრომის ანაზღაურების, მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის და საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების, კომუნალური, უძრავი და მოძრავი ქონების შენახვის, იჯარის, ამორტიზაციის, სამეურნეო და საკანცელარიო საქონლის შესყიდვების,

ძირითადი დოკუმენტი: „შინაგანაწესი“ - დანართი №01			
ნდ №2-010102/01	ვერსია: 0	დამტკიცების აქტი: რექტორის ბრძანება №01-01, 03.01.2023	2-5



კავშირგაბმულობის, საინფორმაციო ტექნოლოგიების, კაპიტალური და არაკაპიტალური ხასიათის შესყიდვების, საგადასახადო, სამიწილინებო, წარმომადგენლობითი და სხვა ხარჯების გათვალისწინება. შრომის ანაზღაურების ხარჯები გამოითვლება საშტატო განრიგის, საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმებისა და საათობრივი ანაზღაურების ოდენობების გათვალისწინებით. ბნსუ-ს შენახვის სხვა ხარჯები გამოითვლება საბაზო წლის ფაქტობრივი ხარჯების, ინფლაციის პროცენტის და ბნსუ-ს ფუნქციური საჭიროებების ანალიზის საფუძველზე;

4.2. განვითარებაზე მიმართული ხარჯები - ეს არის ბნსუ-ს საქმიანობის სრულყოფაზე, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის განვითარებაზე და სტრატეგიული მიზნების შესრულებაზე მიმართული დაფინანსება. ბნსუ-ს შემოსავლებიდან ბნსუ-ს ფუნქციონირებისთვის გასაწევი ხარჯების გამოკლებით განისაზღვრება ის თანხები, რომლებიც შეიძლება იყოს მიმართული ბნსუ-ს განვითარებაზე. მათი ოდენობიდან გამომდინარე ბნსუ-ს პარტნიორთა კრება წინასწარ განსაზღვრავს ბნსუ-ს განვითარებაზე მიმართული დაფინანსების მაქსიმალურ შესაძლო ოდენობას, რომლის ფარგლებში მომდევნო ფინანსურ წელს მოხდება განვითარების სტრატეგიული პროგრამების, საგანმანათლებლო პროგრამების, კვლევითი, შემეცნებითი, შემოქმედებითი საქმიანობის, კაპიტალური და/ან მიმდინარე რემონტის, სასწავლო პროცესის აღჭურვის განახლების, სხვადასხვა ღონისძიებების და ა.შ. დაფინანსება/უკვე გამოყოფილი დაფინანსების გაზრდა. ინფორმაცია ბნსუ-ს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაფინანსების შესაძლო ოდენობის შესახებ გადაეცემა ბნსუ-ს აკადემიურ საბჭოს თავმჯდომარეს, საბჭო ამ ინფორმაციის გათვალისწინებით ამტკიცებს ბნსუ-ს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის აქტივობებს. ინფორმაცია ბნსუ-ს განვითარებაზე მიმართული დაფინანსების შესაძლო ოდენობის შესახებ გადაეცემა ბნსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს-კანცლერს, ამ ინფორმაციის გათვალისწინებით ამტკიცებს ბნსუ-ს განვითარებაზე მიმართულ აქტივობებს. იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური რესურსების საპროგნოზო წყაროები არ არის საკმარისი ყველა მიმდინარე სტრატეგიული/განვითარების პროგრამის შესრულებისათვის, აუცილებელია ან 1) გეგმების/პროგრამების გადახედვა, პრიორიტეტული პროგრამების განსაზღვრა, ზოგიერთი სტრატეგიული მაჩვენებლის მნიშვნელობის შემცირება, მიზნების შეცვლა ან 2) დაფინანსების ახალი წყაროების მოძიება.

მუხლი 4. ბიუჯეტის დამტკიცება

ბნსუ-ს ბიუჯეტის და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის გეგმის პროექტებს შემოქმედებს ბნსუ-ს საფინანსო სამსახური. პროექტებს განიხილავს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი, ბნსუ-ს აკადემიური საბჭო. ბნსუ-ს ბიუჯეტს ამტკიცებს პარტნიორთა კრება. ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებაზე უარის თქმის შემთხვევაში პარტნიორთა კრება, საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან-კანცლერთან და რექტორთან კონსულტაციების საფუძველზე, შემოქმედებს დასაბუთებულ რეკომენდაციებს ბიუჯეტის პროექტში ცვლილებების (გარდა შრომის ანაზღაურების, საგანმანათლებლო პროგრამების და მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაფინანსების, ბნსუ-ს ინფრასტრუქტურის გამართულ მდგომარეობაში შენარჩუნების, ბნსუ-ს ფუნქციონირებისთვის აუცილებელი, ბნსუ-ს მიერ დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ხარჯებისა) შეტანის შესახებ, რომელთა გათვალისწინება სავალდებულოა. ბიუჯეტის პროექტში შესული ცვლილებების შესახებ ეგნობა ბნსუ-ს აკადემიურ საბჭოს.

მუხლი 5. ბიუჯეტის შესრულების პერიოდი

ბნსუ-ს ბიუჯეტის შესრულების ფინანსური პერიოდი კალენდარული ფინანსური წელი (01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით). ასევე, ბნსუ-ს ბიუჯეტის შესრულების ფინანსური პერიოდი შეიძლება მოიცავდეს: სასწავლო ფინანსურ წელს (პირველი სექტემბრიდან მომდევნო წლის 31 აგვისტოს ჩათვლით) და კალენდარულ ფინანსურ წელს (01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით). როდესაც შემოსავლები და ხარჯები იგეგმება საგანმანათლებლო საქმიანობისთვის - სასწავლო (აკადემიური) წლის ფარგლებში, სამეცნიერო საქმიანობისთვის - ამ საქმიანობის შესრულების ვადებში, ბნსუ-ს სხვა საქმიანობისთვის - კალენდარული ფინანსური წლის ფარგლებში. სასწავლო პროცესის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია დაგეგმვა და ბიუჯეტირება მოხდეს სასწავლო ფინანსური წლის დამატებითი დეტალიზებით - მაგალითად, სემესტრების, თვეების მიხედვით.

მუხლი 6. ბიუჯეტის მართვა. კონტროლი ბიუჯეტის შესრულებაზე

1. ბიუჯეტის მართვაში ბნსუ-ში მოიაზრება ბნსუ-ს ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზირება, ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ურთიერთშეთანხმება, უფლება-მოვალეობების განსაზღვრა და კონტროლი. ბიუჯეტირების მმართველობითი ციკლი მოიცავს: ბნსუ-ს საჭიროებების სწორ განსაზღვრას, შექმნილი/შესაძლო რისკების შესწავლას და შეფასებას, რისკების შემცირების/თავიდან აცილების მექანიზმების განსაზღვრას, ინფორმაციის შეგროვებას, მიზნების დასახვას, ალტერნატივების ანალიზს, ოპერაციული ბიუჯეტების შედგენას, ბიუჯეტის შედგენას, ბიუჯეტის რეალიზებას, ბიუჯეტის შესრულების ადრეცხვას შემოსავლების წყაროების მიხედვით, ფინანსური მდგომარეობის და ბიუჯეტის შესრულების კონტროლს, ბიუჯეტის შესრულების და შესრულებაზე მოქმედი ფაქტორების ანალიზს;
2. საბიუჯეტო წლის პერიოდში ფაქტობრივი შემოსავლების შემცირების შემთხვევაში ხდება დაგეგმილი ხარჯების შემცირება (გარდა შრომის ანაზღაურების, საგანმანათლებლო პროგრამების და მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაფინანსების, ბნსუ-ს ინფრასტრუქტურის გამართულ მდგომარეობის შენარჩუნების და ბნსუ-ს ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ხარჯებისა). დაგეგმილი ხარჯების შემცირების შესახებ ოპერატიულ გადაწყვეტილებას იღებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი, რომელიც გადაწყვეტილებას დასაბუთებს ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშთან ერთად წარუდგენს პარტნიორთა კრებას;
3. ბნსუ-ში საბიუჯეტო კონტროლი ხორციელდება იმ მიზნობრივი მაჩვენებლების საფუძველზე, რომლებიც განსაზღვრულია მთელი საბიუჯეტო პერიოდისთვის. ბიუჯეტის შესრულებას კონტროლს უწევს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი და საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელი, რომელიც ახორციელებს შემოსავლების სრული და დროული შემოსვლის კონტროლს, ფაქტობრივი ხარჯების მიზნობრიობის, დაგეგმილი მაჩვენებლების და ფაქტობრივი შემოსავლების და ხარჯების შეუსაბამობის ოპერატიულ ანალიზს და ცვლილებების შეტანას;
4. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი ამზადებს ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერის წარდგინებით პარტნიორთა კრება ეგნობა ანგარიშს, განიხილავს და ამტკიცებს მას, რაც ხდება საანგარიშო წლის მომდევნო წლის არაუგვიანეს პირველი კვარტალისა.

მუხლი 7. უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობები

ძირითადი დოკუმენტი: „შინაგანაწესი“ - დანართი №01			
ნდ №2-010102/01	ვერსია: 0	დამტკიცების აქტი: რექტორის ბრძანება №01-01, 03.01.2023	3-5

1. მიმდინარე წლის 01 დეკემბრამდე საფინანსო სამსახურს უნდა მიეწოდოს: ფაკულტეტის დეკანების, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისა და სტუდენტური თვითმმართველობის მიერ - ინფორმაცია მათი საჭიროებებისა და დაგეგმილი/მიმდინარე ღონისძიებების შესახებ; აკადემიური საბჭოს მიერ - ინფორმაცია დასაფინანსებელი პროგრამების/აქტივობების შესახებ;
2. ბნსუ-ს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვისა და ბიუჯეტების პროცესს უზრუნველყოფს ბნსუ-ს საფინანსო სამსახური, რომელიც ბიუჯეტების ყველა ეტაპზე უზრუნველყოფს კავშირს და უკუკავშირს ბნსუ-ს სტრუქტურულ ერთეულებთან;
3. საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელი ვალდებულია მაქსიმალურად ზუსტად განსაზღვროს მოსალოდნელი ხარჯების მოცულობები და პერიოდები, მინიმუმამდე დაიყვანოს დაუგეგმავი ხარჯების წარმოქმნის შესაძლებლობა და გამორიცხოს ისეთი ხარჯების დაგეგმვა, რომლებიც არის არამიზნობრივი, გადაჭარბებული ან არ გამომდინარეობს რეალური საჭიროებებიდან. საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია ბიუჯეტის პროექტზე;
4. სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები ვალდებული არიან განსაზღვრონ სტრუქტურული ერთეულის საქმიანობისა და განვითარებისათვის რეალური მოთხოვნები და პასუხისმგებლები არიან მათ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე;
5. ბიუჯეტში ბნსუ-ს მიერ/ბნსუ-ს მონაწილეობით ჩასატარებელი ღონისძიებების (მასტერკლასები/ტრენინგები/სხვ., ამ მიზნით სპეციალისტების მოწვევა, სხვ.) და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის (სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება/თანაორგანიზება, სტუდენტების და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, სამეცნიერო ნაშრომები/კუბლიკაციების მომზადება-გამოქვეყნება და სხვ., რაც გათვალისწინებულია ბნსუ-ში მოქმედი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით) დაფინანსების ოდენობა განისაზღვრება ბნსუ-ს აკადემიური საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე. აკადემიური საბჭო ვალდებულია დაადგინოს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების საჭიროებები, შეისწავლოს ფაკულტეტების მიერ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებით წარდგენილი ინფორმაცია, განიხილოს ბნსუ-ს სახელით/ბნსუ-ს თანამონაწილეობით ჟურნალის, ნაშრომთა კრებულების, სახელმძღვანელოების, სამეცნიერო-მეთოდური და სხვ. მომზადების, თარგმნის და გამოცემის, ბნსუ-ს მიერ/ბნსუ-ს მონაწილეობით კონფერენციების/სხვ. ჩატარების მიზანშეწონილობა/აუცილებლობა და დაფინანსების რეკომენდაცია გაუწიოს მხოლოდ იმ სამეცნიერო-კვლევით და სხვა საქმიანობას, რომელიც შეესაბამება ბნსუ-ს მისიას, მიზნებს, საგანმანათლებლო და სტრატეგიულ პრიორიტეტებს. აკადემიური საბჭო ვალდებულია დაფინანსების რეკომენდაცია გაუწიოს მხოლოდ იმ ღონისძიებებს/აქტივობებს, რომლებიც მიმართულია ბნსუ-ს მდგრად განვითარებაზე და არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, მათ შორის ბნსუ-ს სტრატეგიული მიზნების და განვითარების პროგრამების შესრულებაზე, სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ხელშეწყობაზე, პერსონალის კომპეტენციების სრულყოფაზე და სხვ. აკადემიური საბჭო პასუხისმგებელია გაცემული რეკომენდაციების რელევანტურობაზე;
6. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი პასუხისმგებელია საფინანსო სამსახურის და სხვა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების მიერ წინამდებარე რეგლამენტის დაცვაზე, ბიუჯეტის შესრულებაზე და დაგეგმილი ხარჯების მიზანშეწონილობის შესახებ დავების გადაწყვეტაზე;
7. წინამდებარე რეგლამენტი ვრცელდება ბნსუ-ს მართვის სუბიექტებზე და ყველა სტრუქტურულ ერთეულზე;
8. წინამდებარე რეგლამენტის აქტუალიზაცია, გადახედვა და ინფორმირება ცვლილებების შესახებ მიეკუთვნება ბნსუ-ს საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის უფლებამოსილების სფეროს. საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელს შეუძლია შეიმუშაოს რეგლამენტის ცვლილებების ან დამატებების დასაბუთებული წინადადებები, რომლებსაც განიხილავს ბნსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე რეგლამენტს და ცვლილებებს რეგლამენტში ამტკიცებს ბნსუ-ს რექტორი;
2. წინამდებარე დოკუმენტის ძალაში შესვლისთანავე უქმდება წინამდებარე დოკუმენტის ძალაში შესვლამდე მოქმედი დებულებები/ წესები, რომლებიც არეგულირებდნენ წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებულ საკითხებს;
3. წინამდებარე დოკუმენტის მუხლებს წინამდებარეული აქვს სათაურები ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად, ეს სათაურები არ მიიჩნევა რომელიმე მუხლის განმსაზღვრელად, შემცვლელად ან განმმარტებლად;
4. წინამდებარე დოკუმენტის რომელიმე მუხლის/დებულების ძალადაკარგულად/ზათილად ცნობა არ ვრცელდება დოკუმენტის სხვა მუხლებზე/დებულებებზე;
5. ყველა საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დოკუმენტით, რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით;
6. წინამდებარე დოკუმენტი ძალას კარგავს ახალი რეგლამენტის დამტკიცების შემთხვევაში.

ძირითადი დოკუმენტი: „შინაგანაწესი“ - დანართი №01			
ნდ №2-010102/01	ვერსია: 0	დამტკიცების აქტი: რექტორის ბრძანება №01-01, 03.01.2023	4-5



ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი

ცვლილებების №	ცვლილებების თარიღი	ცვლილებების შინაარსი